განკარგულება:**g-31.31213292**
თარიღი:**25/11/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №54

2021 წლის 25 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ქ. ლანჩხუთში დუმბაძის, წმინდა ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაცია	2990000
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნიგოითის, შუხუთის, მამათის, აკეთის, აცანის, ლესის, გვიმბალაურის, ნიგვზიანის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის, ჩოჩხათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	2200000
3	ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	200000
4	ქ. ლანჩხუთში გორგასლის ქ. №35 მრავალბინიანი სახლის საძირკველის რეაბილიტაცია	641560
5		
ჯამი		6031560